ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

	გაუგზავნელათ:
გაგზავნით თვიდისში	
და გარეშე ადგილებში:	
ერთი წლისა — 4 მ.	— 3 მ. —
ნახევარი წლისა — 3 —	— 2 მ. —
სამი თვისა — 1 მ.	— 1 მ. —

მეხუთე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში, ბ. წერეთლის და ამს. (დუბელირის) სტამბაში, ხერგიევის ქუჩაზე, ხატისთვის სახლში. თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ» при типографіи Г. Церетели и ко. (Дубелира-*

№ 12 შაბათი | V | 30 ვლისი, 1872 წ.

შინაარსი:

ოქროს მარანი.—სამეცნიერო ნაწილი: მიწის ქვეშ ბოდგანები: სასარგებლო.—სხვა და სხვა ... ბები «დროებიდგან» კრებულებული.—სამეცნიო ნაწილი: —ბრეანი სიქოსლის ... —წამსეულური ... ბორეა.—ცხოვრებელ მეცარეობის საზოგადოების ... ანცხადება.—ბიბლიოგრაფიული განცხადებები.

ოქროს მარანი

I. საუბარი პირველი

დიდი ხანია ჩემო მკითხველო შენთან აღარ ... ილაპარაკნია. დრონი რბიან, ეს ჩვენი ქვეყანაც წამ-და-წამ იცვლება. რკინის გზის მატარებელმაც დაიწყალა ჩვენს ... ში და ... ბარე ორიოდეს კიდეც დაუმტვრია. გვერდები თავ შეუდებლობისთვის, თითქოს ეუბნებოდა: ხანტობისა და ძალის დრო აღარ არის ... გამოიფხიზლე, გზა მიტიე, ხომ ხედავ ამდენი ბარგი და კაცები მომყავს და ერთი დღის ... ალს ორს საათს გაერბიენარო. მართლაც ... ომ ამ რკინის გზის მატარებელს დაემგზავ... ა ჩვენი ცხოვრების ტარებაც. დღეს რომ ... ხედავ რომელიმე ჩვენი დედა ქალაქი გაბ... დღიალებული და გაჩაღებული ევროპითან ... ბრწყინავდა, ცხოვრება ... ქუხდა და გვიქადდა კეთილს მომავალს, ხვალ შეხედავ, რომ ის ... თავ ჩაკიდულია, აღარც ევროპაა, აღარც ... ცხოვრება, თითქოს რაღაც ჭირი დარეკია ... ოლ ... ბ: ... ...



ბ. ზარეკის სახ. საჯ. სკრ. სახელმწიფო რეპუბლიკა ბიბლიოთეკა

შინ რომ ჭენჭყოიანი ალაგი იყო, სადაც, ასე გასინჯე ქათმებიც კი იხოცებოდენ ციებით იქ თითო ოროლა ქოხი წყალზე იყო, გაჩაღებული და ციებით გაყვითლებული მეგრელი, ან თათარი ნავით დადიოდენ ერთმანეთთან, დღეს იქ მშვენიერი ქალაქი იმართება, სადაც მრავალი ტომის კაცები ბღუთ ირევიან ერთმანეთში, ეკერობა და აღებ მიცემობა ჰქუხს და გადმოდის, არამც თუ, ჭენჭყო და წყალი არ არის, ასე გასინჯეთ ტყეც აღარსად იპოვება და იქ, ს

ნამ ეს საკვირველი მანქანა გაიმართებოდ ჩენში, შენ გყავდა გუთანსა და გუთნეულს გარდა ხარ-კამეჩები თავის ურმის მოწყობილობით და ყანებს თუ გოლვა წაგიხდენდა, ან დაგისეტყვევდა, ხარ-ურემს მაინც გ-გზავნიდი ქირაზე და იმის შემოსავლით თითოოროლა კაპეიკი მაინც დაგრჩებოდა თავის გასაკვებად, ახლა წარმოიდგინე, ვინ სულელი იქნება, შენს ხარ-კამეჩებზე დაუდოს თავის ქირა და ატაროს ერთი თვე, მაშინ როდესაც რკინის გზის მატარებელი რამდენსამე საათს, ან ორდღეს, ვინც უნდა იყოს სულ სახლ-კარიანა და თავის საქონლიანა კავკასიის ერთი კიდიდგან მეორე კიდემდის გადაიტანს.

—

აბა, ახლა გადეიხედოთ იმერეთისკენ რას შერემიან იქაური ჩარვადრები?—ქირა მოეპოთ და ისინი ახლა არიან ხელ გულ დაკრეფილნი, ზოგს საჩარვადრო ცხენები კიდეც გაუყიდნიათ, ზოგნი კი მაზანდას უცდიან, ვითომც ცხენების ფასი მოიმატებს და მაშინ გაუყიდიო; მაგრამ ეს იმათი სურვილი ფუჭათ ჩაიელის. რა კი რკინის გზის მატარებელმა ტფილისამდის მოაწია, აწ საჩარვადრო ცხენების ფასი კიდევ უფრო დაეცემა. ეს რაღათ უნდა?—მე შენ გეტყვი, საპალნის ასაკიდებლათ, თუ საგდომათ იყიდის! დიახ, ეგრე უთხარ ჩვენებს. რკინის გზით სიარულს თავს დაანებებენ, როგორც ეს ეს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი წყარო ცხოვრებისა თუ მოესპო, ათასნაირს გამოაჩენს და იმით გაიკვებს თავს. იქ კაცი იმდენათ სწავლულია, რომ ბუნების კანონები ძალიან დაწვრილებით შეუსწავლია და თუ ჰაეის ყინიანობა წინ ალუდგა, ის სხვა კანონებისა და საშუალების ძალით ისევ იმ ბუნებას გამოიყენებს თავის სასარგებლოთ, ჩვენ კი რადგან უცოდნელები ვართ ბუნების აგებულობისა და კანონების არა გვესმის რა, ამისთვის ცუდს ამიდს და უხეირო ბუნების ცელილებას ავდრიანობას ისეთი გავლენა აქვს ჩვენზე, როგორც ბუზზე ნამიან დღეს, როცა იმას ფრთები შეეხუთება და ველარ ფრინავს. ის უეჭველად ან უნდა მოკვდეს და ან დაძაბუნებული სხვა ცხოველის კერძი უნდა გახდეს.

ჩვენი სოფლელი მუდამ მიწას და თესლს შეჰყურებს, ამის გარეშე თუ რამე მოხელობა, ან სხვა თავის გამტანი საქმე მოიძებნება ქვეყანაზედ არა ჰგონია, მიწას თუ ნამი საქმაოთ ექნა და თესლმა გაიხარა, მაშინ ჩვენი სოფლელი მიწის მუშაც გახარებულია, კარგს გუნებაზეა. ამიტომ რომ წლის სარჩოს მოელის, თუ არა და ნახევარჯელ ცოლშვილიანა მშიერი უნდა დარჩეს. განა თუ მიწის მუშაობას გარდა სხვა ხელობაზე არ მოეკიდება ხელი. უეჭველად მოეკიდება, რომ საშუალი, თავის დროზე ფული ჰქონდეს: უფრო დიდი მიზეზი ჩვენი სოფლელების სიღარიბისა და შეუძლებლობისა ფულის უქონლობაა თავის დროზე. ამისგამო ჩვენი სოფლელი მიწის მუშა, რომ კიდეაც ჰგრძნობდეს სამუშაო იარაღების უხეირობას მიწის გაუმჯობესობის სურვილიც რომ ჰქონდეს, უკეთესი სამეურნეო იარაღების შოვნა ჰსურდეს, ან მიწის მუშაობას გარდა სხვა ხელობის დაწყება რომ უნდოდეს, ვერ მოახერხებს, რადგან ფული არა აქვს. განა მართლა ჩვენი სიღარიბე მარტო შეუძლებლობისაგან კი არ წარმოსდგება. ჩვენი სოფლელი მიწის მეპატრონე არ არის ზარმაცი, ღონე აქვს მუშაობაში და გამრჯელობაში არაევის უკან არ ჩამორჩება. მაშასადამე ფულის მოპოების ღონისძიება ყოველთვის აქვს, მაგრამ როცა ძალიან სჭირდება ეს ფული თავის საქმეში, რომ თავის მუშაობასთან შესაფერი მოგებაც ჰქოდეს, მაშინ არა აქვს და ამისთვის სულ თავის მომეტებული გარჯილობა მოვალეს ჯიბეში გადადის და თვითონ კი ცარიელზე რჩება.

რა ემჯობინებოდა იმას რომ, სოფლელს მიწის მომუშაევს ისეთი რამე მანქანება გაეწყოთ, რომ დაჭირებაზე ყოველს მიწის მუშას, ყოველს ჩვენებურს მეოჯახეს მოსაქმე კაცს იმდენი ფული აეღოთ იქიდგან, რომ თავისი საქმე წინ წაეყვანათ და თავის შრომის მოგება მოვალეს მაგერათ თავის ჯიბეში ჩაედოთ. ამისთანა «ოქროს მარანი» რომ სადმე გაგეჩენოდა მაგას რა ემჯობინებოდა. იტყვის მკითხველი. და ის კი არ იცის, რომ ეს მარანი იქვე შინა აქვს ყოველს ჩვენს მეოჯახეს, მხოლოდ მოძებნა უნდა, მიგნება უნდა.—როგორ, ღმერთი გიშველის, აბა გვითხარი სად არის? როგორ გადაგვეკრა ისეთი ბურუსი თვალზე, რომ ადამის წლიდგან ყოველ კუთხეში და მიწაში ეჩეკავთ და ვერ მიგვიგნიაო.—მეტყვის მკითხველი დაცინებით, ვითომც და იმის მოტყუება მინდოდეს.—სრულებითაც არა, ჩემო მკითხველო. მე მართლა მინდა გასწავლო, ხელით გიჩვენო შენი სიმდიდრე, ფულის მარანი, რომელსაც ყოველდღე ჰხედავ, ყოველს ჟამს შეგიძლიან, ხლა რომ უხმარად სძევს შენს არე-მარეზე, მოჰკიდო ხელი, მიჰმართო ისე რომ შიგ ყოველთვის გამოულეველათ ფული იქნეს და შენც შეგეძლოს ყოველს დაჭირებაზე რამდენიც შენთვის საჭიროა. იმდენი ფული ამოიღო ხოლმე, შენი საქმე კარგათ მოაგვარო და მერე როცა ამ ფულს თავის სარგებლიანა უკან დაიბრუნებთ, ისევ იმ შენს ბოღოზში ჩასდო მეორე დაჭირებამდის.

წარმოიდგინე, მკითხველო, რომ შენი მიწა-წყალი, შენი სახლ-კარი და შენი შრომა სულ ერთიანად ფულად რომ ეაქციოთ, შესდგება კარგა ძალი ფული, თურმე შესდგება. ამ ფულის შესაფერად შენ გაქეს ფულიან კაცისაგან ან სახელმწიფოსაგან ნდობა. შეგიძლიან იმათგან ფული აიღო ყოველთვის, რადგან იმათ იციან, რომ შენ იმის ფულის საღირალი ქონება გაქეს ეთქვათ, ერთს მეოჯახეს ასი თუმნის შეძლება აქეს. ორს ამისთანა მეოჯახეს ორასი თუმნის შეძლება ექნება. ათს ათასი თუმნის და მთელს სოფელს, სადაც ასი კომლი არის, ექნება ათი ათასი თუმნის ქონება. მაშასადამე ვისაც ბლომათ ფული აქეს, ისე რომ მუდამ დღე არ სჭირდება თავისი ფული, ყოველთვის შეუძლიან ასესხოს ამ სოფელს, თუ არ ათი ათასი თუმანი, იმის ნახევარი მაინცა, ოღონდ კი ექნეს თავის დროზე თავის ფულის უკან მიღების იმედი, როცა დასჭირდება.

— დალოცვილო, რათ გვინდა მთელი სოფელი და ათი ათასი თუმანი, მე რომ ასი თუმნის შეძლება მაქეს, ოც თუმანსა რომ არაევინ მანდობს,—მეტყვის მკითხველი.

— მართალია, ამიტომ რომ ბევრჯელ გესესხნია და თავის დროზე ვერ მოგიცია. ამა გარდა ბევრი შენისთანაები ყოფილან, რომ მელთაც უსესხნიათ და მერე ან საქმე ცუდათ წაუყვანიათ, ან უსინდისო კაცები ყოფილან და გაქცეულან. ერთი სიტყვით შენისთანა კაცებს როცა ცალკე უსესხნიათ ფული ხშირად მოუტყუებიათ თავის მოვალეები და ამისგამო თუმცა შეძლება გაქეს, მაგრამ მოვალე შენისთანა კაცების უპატიოსნოებით დაშინებულია და ამისთვის აღარ შენ გენდობა. მაგრამ ერთი მოსახლე კაცი და მთელი სოფელი, სადაც ასი მოსახლეა, ცია, სულ სხვა არის. ერთი მოსახლე კაცი შეიძლება კიდეც გადაშენდეს, შეიძლება ფ ოსი ოჯახის კაცი წყალში დაიხვრჩეს, ე მემ მოკლას და ამისგამო ნასესხი ფული ო იკარგოს, მთელ სოფელზე კი არ შეიძლ ესეც შემთხვევა წარმოიდგინოს კაცმა. მთ ლი სოფლის არც ამოწყვეტა შეიძლება, ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკელა, არც სადმე გაქცეა. მთელი სოფელი, ან ქალაქი, ან ქვეყანა მუდამ ერთ ალაგს დგას, მუდამ ცხოვრებს, არც კვდება და არც კოტრდება. შეიძლება ამ სოფელში, ან ქალაქში, ან ქვეყანაში ერთი ორი და ხუთი კაცი მოკვდეს, მაგრამ მაგიერათ იმ სოფელში სხვები გამდიდრდებიან და სოფეს არც აკლდება, არც ემატება. არის ნიადაგ იმავე მდგომარეობაში, იმავე სამუდამო ქონებით. მაშ ფულიანი კაცი მთელს სოფელს, ან ქალაქს, ან ქვეყანას ყოველთვის დიდის სიამოვნებით ენდობა, რადგან იცის, რომ იმათთან ფული არაოდეს არ დაეკარგება. მთელს სოფელს ამისგამო ყოველთვის დიდი და მუდამი ნდობა აქვს მოპოებული ვაჭრობის საზოგადოებასა და სახელმწიფოს წინაშე. მაშ თუ ჩვენს სოფელს ფული უნდა დაატრიალოს თავის სოფელში და გაუჭირვებელათ ფული ექნეს, უეჭველად მთელმა სოფლის მცხოვრებლებმა ერთმანეთს პირი უნდა მისცენ, შეერთდენ შეკავშირდენ და სთქვან: მოდი ძმაო ვისესხოთ ფული ერთად მთელმა საზოგადოებამდა ერთადვე გადავიხადოთო. თუ ვინ?ე ჩვენ თაგანი უპირონი, ან შეუძლონი გამოჩნდენ იმათ მაგიერათ დანარჩენმა ეიკისროთ; იმ აზრით, რომ როცა მეორეთ ეს შეუძლონი სულს მოიბრუნებენ და ვინიცობაა ჩვენ დავღარიბდით, ჩვენ მაგიერათ მაშინ ეგენი იკისრებენ საერთო ვალის გადახდასო. ამნაირათ შეერთებას საერთოდ ფულის სესხებლათ ჰქვიან ერთმანერთის თავდებობა. მაშასადამე ჩვენმა სოფლებმა უნდა გაძართონ ერთმანერთის თავდებობა. უნდა შეერთდენ ერთად ფულის სასესხებლათ, უნდა ერთმანერთი გაიტანონ, ერთმანერთი დაიცვან ამ ახალ მოძრაობაში, თორემ უამისოთ ვერც ჩვენი ოჯახობის საქმე წავა ხერხიანათ და ვერც ჩვენი განათლება. ახალი სხვა და სხვა ხელობის გასაკეთებლათ ჩვენს ქვეყანაში, მეურნეობის და მიწის მუშაობის გაუმჯობესობისათვის განათლების გასადიდებლათ საჭიროა, რომ ფული დატრიალდეს ჩვენს ქვეყანაში და ამისთვის საჭიროა სოფლების, ქალაქების ერთმანეთთან შეერთება, პირობის შეკვრა ერთმანერთის თავდებობის გასაკეთებლად.

პირველად როცა ყველა კაცები პირუტყვულ მდგომარეობაში იყვნენ, იმათ მაშინაც კი იგრძნეს, რომ ცალ-ცალკე რომ ვართ გაბნეულნი, მხეცებიც გვძალენ, წვიმა ქარი, გოლვა, ავდარი და ყოველნაირი ბუნების ცვლილებაც უფრო გვჩაგრავსო. ამისთვის იმათ იწყეს თავის დასაცველად ერთმანეთთან შეერთება, ერთმანერთის მოხმარება, საერთოდ მუშაობა. ამ ძმურმა საერთო მოქმედებამ უფრო დიდი ღონე მისცა იმათ; ერთმანეთის შემწეობით სახლები გაიკეთეს, გზები გამართეს. წყლით მოგზაურობა იწყეს, მტრის მოგერება უფრო ეხერხებოდათ და ამ საერთო შრომით თანდათან გონებაც უფრო გამოეღვიძათ, განათლება მოიპოვეს და თანდათან ცხოვრებაც უფრო გაუკეთდა კაცობრიობას. ერთი ხელიც კარგია და ორი კიდევ უკეთესი. ამ ანდაზას რა სჯობია. შეერთებულს შრომას ყოველთვის უფრო ბევრი ნაყოფი მოაქვს, ვიდრე გაცალკეებულს, ეს ყველამ ვიცით და ამ ახალს ცხოვრების წესიაც, რომელიც გარემოებამ მოგვცა, შეერთებულათ მოქმედება თუ რასმე გვიშველის, თორემ სხვა არაფერი. რადგან ჩვენს ქვეყანაში რკინის გზა გაიხსნა და განათლებული უცხო ქვეყნის ხალხები შემოვიდენ ჩვენს ქვეყანაში, რომელთაც ფულიც ბევრი აქვთ და ცოდნაც, ჩვენ ახლა უფრო ძმურათ და ერთობით მოქმედება გვმართებს, რომ იმათ ჩვენი ქვეყნის ქონება არ დავანებოთ და თვითონვე ჩვენ მოვიხმაროთ, როგორც მცოდნე და ჭკვიანს ხალხს შეჰფერის.

ამ პირველს საუბარში ჩვენ ვილაპარაკეთ შეერთებულათ მოქმედების საჭიროებაზე, რომ ერთმანერთის თავდებობა გავაკეთოთ ფულის საშოვნელათ. მეორე საუბარში კი ვილაპარაკებთ თუ, რა შემთხვევაში არ გაგეჭირდებაერთმანერთის თავდებობის წყალობით ფულის სესხება ან სახელმწიფო ხაზინიდგან, ან კერძო პირებიდგან და როგორ უნდა ვამუშაოთ ეს ნასესხები ფული.

სამეცნიერო ნაწილი

წყლის ქვემოთი ბოდკანები.

ძველათ, როდესაც ჯერ კიდევ კაცის გონება იმდენათ არ იყო მეცნიერებით გაღვიძებული და ნასწავლი, ბევრი საკვირველი ბუნების მოვლენა ნამდვილათ არ იცოდენ, რისგან ან საიდგან წარმოსდგებოდა და ამის მიზეზს აბრალებდენ სხვა და სხვა არსებებს და ღმერთებს. მაგალითად როდესაც ჭექა-ქუხილი ატყდებოდა, იტყოდენ ელისე წინასწარმეტყველი თავის ცეცხლის ეტლზე ზის და რბის ცაზე და გრუხუნი იმის ეტლის თვლებს გააქვსო. როდესაც სეტყვა მოვიდოდა იტყოდენ, ელისე ყანებს სთესავსო და ბევრი ამისთანა იყო კაცებისაგან მოგონებული. ცნობის მოყვარე კაცს მაშ რა უნდა ექნა? ჰხედავდა მოვლენას, ეძებდა მიზეზს ამ მოვლენისას, ან ბუნების მოქმედებისას და რადგან ნამდვილს მიზეზს მოქმედებისას ვერ აგნებდა უსწავლელობისგამო, მაშინ თვითონ მოიგონებდა, გამოიხატავდა გონებაში ისეთს რამეს, რომელიც უფრო შეეფერებოდა იმისგან ნახულს ბუნების მოქმედებას. აი, ამისთანაობით იმან მოიგონა ვითომც ჭექა-ქუხილის დროს ელისე დააგორებდეს თავის ეტლს და ისროდეს ცეცხლის ისრებს ავი სულების შესაბორკილებელათ. რომაელებს კიდევ სხვა ნაირათ სჯეროდათ ეს ამბავი. იმათის აზრით ცაში მრავალი ღმერთები იყვნენ და ყველაზე უფროსი იყო ერთი ღმერთი, რომელსაც ერქვა იუპიტერი და როდესაც იმის ქვეშევრდომი ღმერთები რასმე დაა აშავებდენ, ან აუბუნტებოდნენ, მაშინ იუპიტერი შეაბამდა რაშებს ცეცხლის ეტლში, შეიარაღდებოდა ცეცხლის შეილდით და ისრებს მჭედლების ღმერთი ვოლკანი მოართმევდაო. ვოლკანი იყოვო ჩამწყვდეული ვეზუვიის მთის სიღრმეში, იქ ჰქონდა თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეფლო. გამართული და როდესაც კარგა ძალს ისრებს გაეფდა, შემდეგ იმ მთის სიღრმიდგან ამოისროდა ამ ცეცხლის ისრებს და მიაწვდენდა იუპიტერსაო.

ძველად უმეცარმა, უსწავლელმა რომაელებმა ამის მეტათ ვერ ახსნეს ჭექა-ქუხილი საიდგან წარმოსდგებოდა, ან რა მიზეზისაგან ამოჰქუხდა ცეცხლი ეზუვის მთიდგან, ან ყოველ ამოქუხების დროს, რათ დასრიალებდენ ალმასის გველებსაეით ელვანი და რად ატყდებოდა ჭექა-ქუხილი. ჩვენ ესეები ახლა კარგათ ვიცით, მკითხველსაც მალე მოვუთხოვთ ამაებს ყოველსასავე, მაგრამ ჩვენ გვინდა ჯერ ორიოდე სიტყვით აეხსნათ, თუ საიდგან წარმოსდგა რომაელების რწმუნება ღმერთის ეოლკანის მეფლობაზე და იმის ცეცხლის ისრების მირთმეა დიდი ღმერთის იუპიტერის წინაშე.

იტალიაში სადაც ძველი რომაელები სცხოვრებდენ და ახლა იტალიელები არიან, იყო რამდენიმე ცეცხ-მქმინავი მთა ამართული. ამ მთებში ყველაზე უფრო მაღალი და შესანიშნავი ორი მთის წვერი იყო და ახლაც არის: ერთს ჰქვია ვეზუვის მთა, მეორეს ეტნის მთა. ზედ წვერზე ვინც ადის ის აი რას ხედავს იქ. მთის წვერი ქვეყრილით გახვრეტილია და შიგ რომ ჩახედო საშინელი ღრმა არის, ისეთი ღრმა რომ თვალს კაცი ვერ ჩაუწვდენს. ამ ღრმა ჭურში სოკოსაეით ამოსულია ორე მთა, რომელიც სწორეთ შაქრის თაესავეს, ან ვისაც უნახავს ჩვენი ჭაღარა მთაყაზიანი, სწორეთ ის წარმოუდგება. რამდენისამე წლის განმავლობაში ამ მთების შიგნი ხმაურობა რომ არ მომხდარიყო, არ შეიძლებოდა და ამ დროს დედა მიწა შეიძვროდა ხოლმე, სახლები იქცეოდენ, როგორც შარშან ოქტომბერს ძარით შემახიის ქალაქი დაიქცა. შემდეგ მიწის ძვრისა ვეზუვის და ეტნის მთების ფლებიდგან ამოეადოდა შაეი კომლი, თან ცეცხლი ამოიქუხებდა ნიადაგ ამოისვრიდა ცეცხლსაეით გავარეულებულს ქვებს და ზოგი მეტის მეტი სიცხისაგან გალხვალ ნადუღათაც კი იყო გადაქცეული. ამ დროს ატყდებოდა ჭექა-ქუხილი და ისრის მგზავსი ელვები ჩნდებოდენ მთის წვერებზე ცხადია რომ იქ დამსწრე მცხოვრებლები მაშინვე წარმოიდგენდენ, სწორეთ მთის ქვეშ სულ ძირში ამ ვინღაცას იმათ დაარქვეს სახელი ეოლკანი ვინღაც არის და ისრებს სეფდავსო და შემდეგ ისრის მგზავსს ელვას რომ ხედავდენ მთის წვერებზე იტყოდენ ღმერთი ეოლკანი თავის გაეფდილს ისრებს ისვრის ქვეიდგან და იუპიტერს აძლევეს. ასე ამბობდენ ძველი უსწავლელი კაცები, რომელნიც მთის ვეზუვის ამოქუხების დროს იქ დაესწრებოდენ. ჩვენ კი ამის ანგარიშები დაწერილებით ვიცით. ვიცით, საიდგან წარმოსდგება მიწის ძვრა ან რა მიზეზით ამოდის ხოლმე ზოგიერთს მთებიდგან ცეცხლი კომლი გახურებული ქვები და გალხვალი კლდის ნაკადული, რომელიც გადმოინთხევა მთის წვერებიდგან და ყოველსაეე სწვავს და ინელებს, რაც გზაზე დაუხვდება. მაშ ახლა ნამდვილი ამბავი დავიწყოთ და რაც ძველ კაცებს თავის უსწავლელობით ჭორები მოუგონიათ ბუნების საშინელი მოვლენათა ასახსნელათ ის დავეიწყოთ.

ჩვენს გაზეთში ხშირათ იყო ხოლმე მოხსენებული, რომ დედა მიწა ბურთივით მრგვალია და ტრიალებს, მკითხველმა რომ შეიტყოს რგვალი ბურთი როგორც ქათმის კვერცხი ხეჭუჭისა, ცილისა და გულისგან შესდგება, ისე დედა მიწა მაგარი ქერქისგან მერე ცოტათ გალხვალი კანისგან და შემდეგ წყალსაეით გათხელებულ გულისგან არის შემდგარი, ძალიან გაუკვირდება. მაგრამ ეს დედამიწის გული კვერცხის გულსაეით ცეცი კი არ არის, ის არის ცეცხლზე კიდეე უფრო ხურვალე, იმდენათ მხურვალე, რომ იქ ოქრო ვერცხლი, რკინა და ქვის ლოდბიც გალხვალნი არიან, როგორც ზეთი, ან თაფლი საიდგან შეიტყეს ეგ, ან ვინ ყოფილაო დედა მიწის გულში, რომ ეგეები ეგრე დაწერილებით შეეტყოვო.—იტყვის მკითხველი. მართალია იქ არავინ ყოფილა მაგრამ დაკვირვებით და გამოცდილებით ყოველ ფერს ზედ მიწვევნით მიხვდება კაცი მაგალითად კაცი რომ მთის წვერზე ავიდეს, მაგალითად ყაზიბეგზე, იქ თოვლის მეტი არა არის რა და ისე ცივა, რომ კაცი ჩოხაში, ნაბადში და ქურქში უნდა გამოეხვიოს. შემდეგ წარმოვიდგინოთ, რომ ეს კაცი თან-და-თან ძირს ჩამოდის ის რასაკვირველია სითბოს იგრძნობს და ჯერ მოიხდის ქურქს და გადაგდებს, მერე ნაბადს, მერე მლეთში რომ მივა თუ ზაფხულია ჩოხასაც გაიძრობს. ამისთანა კაცს რომ ეკითხო თუნდ ტფილისში თავის დღეშიაც რომ არ ყოფილიყოს, თუ კი იცის რომ მლეთს ბევრათ ქვეით მდებარეს, მაშინვე იტყვის ტფილისში ისე უნდა ცხელოდეს, რომ გარეთ პერანგის ამარაც რომ იაროს მაინც ეცხელებაო და არც შესცივდება.

ამგვარისვე შენიშვნით მიხვდენ მეცნიერები, რომ დედა მიწის გულიო მომეტებული სიცხისაგან გალხვალია, როგორც ზეთი. აი, საიდგან შეიტყეს ეს ამბავი.

ინგლისში ქვის ნახშირს მიწიდგან სთხრიან და იმდენათ ღრმათ არის ჩათხრილი რომ იმ სიღრმეში იქ ზამთარ და ზაფხულ სულ ცხელა. გამოზომეს ტერმომეტრით და შეიტყეს, რომ ყოველ ოცსაჟენ სიღრმეზე ერთი გრადუსი სითბო ემატება. მაშ ორმოცი საჟენი სიღრმე რომ ჩათხარო, ორი გრადუსი მოემატება, სამოცი საჟენი რომ ჩათხარო სამი გრადუსი მოემატება. ვთქვათ მიწის პირის მახლობლათ ექვსი გრადუსი სითბოა. თუ ოცოცი საჟენი სიღრმის მომატებით თითო გრადუსი სითბო ემატება, მაშინ ერთ ვერს სიღმეზე ოცდა თერთმეტი გრადუსი სითბო იქნება. ამ გამოანგარიშებით სამ ვერს სიღრმეში მიწის ქვეშ უეჭველად ოთხმოცდა ერთი გრადუსი სითბო უნდა იყოს, ესე იგი ისეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ითბო სადაც წყალი დუღს. მაშ ასი ვერსი სიღრმე რომ ჩაეთხაროთ მიწის ქვეშ იქ ორი ათას ხუთასი გრადუსი სიცხე უნდა იყოს. ეს ისეთი სიცხეა, რომელსაც არც ოქრო, არც რკინა და თითქმის არც ქვა გაუძლებელი არ მოუარჩება. ჩვენ ვიცით რომ მიწის პირიდგან დაწყებული დედა-მიწის გულამდის ექვსი ათასი ვერსია. მაშასადამე დედა-მიწის მაგარს ქერქს ბევრი, ბევრი ასს ორმოცდა ათი ვერსი სისქე თუ ექნება, თორემ დანარჩენი ხუთი ათას რვაას ორმოცდა ათი ვერსი სისქე გული სულ გალხვალია სიცხისაგან. მაშ ჩვენი დედა-მიწა მართლაც მეგზავსება ქათმის კვერცხს, რომლის მაგარი ქერქი იმდენათ თხელია თვითონ თხელი გულის სისქის შედარებით, როგორც კვერცხის ხეჭუჭი ცილის და გულის სისქის შედარებით. რამდენი მიწის გული გალხვალია. ამას ცხადათ გვიმტკიცებს თვითონ ეგზუვის და ეტნის მთის ხან-და-ხან ამოქუხება, რომლის წვერიდგანაც იმდროს გადმოჰქუხს გახვალი კლდე და სწვავს ყოველფერს რაც წინდაუხვდება. უნდა ეთქვათ, რომ დედა-მიწის ზურგზე სხვაგანაც ბევრგან არიან ცეცხლ მომქშინავნი მთები. ამქათათ ესეც კმარა და მეორეთ ვილაპარაკოთ თუ რა მიზეზისაგან გადმოდინდებაზოლმე ხან-და-ხან მიწის გულიდგან ზოგიერთი მთის წვერებიდგან გამდნარი მიწის გული.

სხვა და სხვა ამბები

ოდესაში არის ერთი საზოგადოება, სახელად «სამხრეთ-რუსეთის მეურნეობისა საზოგადოება,» რომლისთვისაც სახელმწიფო ქონების მინისტრს ამას წინათ მიუნდია, რომ მონახოს ისეთი საშუალება და გზები, რომლითაც შესაძლებელი იქნება სამხრეთ რუსეთში მეურნეობის საქმის წარმატებაო. ამ საზოგადოებას ამ ახლო ხანს ჰქონდა სხდომა და სხვათა შორის აი რა საშუალებებზე მიაქცია იმათ ყურადღება. ამ საზოგადოების წევრების აზრით, სამხრეთ რუსეთში მეურნეობის გაუმჯობესებისათვის ყველაზე პირველათ შოლების გამართვა და შიგ ვალდებულებითი სწავლის შემოღება არის საჭირო; ყოველ სასოფლო შოლთან პატარა ბაღები და ბოსტნები უნდა გაიმართოსო, სადაც ყმაწვილებს ცოტაოდენათ მაინც შეეძლებათ მეურნეობის შესწავლაო. ამას გარდა ყოველ სამასწავლო სემინარიასთან დიდი ბაღები და დიდი საყანე ადგილები უნდა იყოს. რამდენსამე ადგილას უნდა გაიმართოს სამაგალითო ფერმები, სადაც საუკეთესო მებაღეებისა და მამულის მომვლელების გამოზრდა და მეურნეობის შესწავლა შეიძლებაო. მმართველობამ განკარგულება უნდა მოახდინოს, რომ ხალხი უთავ-ბოლოთ ტყეს არა სჭრიდესო. მმართებლობისა და ხალხის ხარჯით აგრეთვე ზოგიერთ უდაბნო და ვერან ადგილებში არხები უნდა გაიყვანონო.

«ზემოხსენებული» საზოგადოების აზრით, ესენი არიან უმთავრესნი საშუალებანი, რომლითაც ყველაზე უფრო ადვილათ შეიძლება სამხრეთ რუსეთში მეურნეობისა და თან ხალხის ეკონომიური მდგომარეობის აღწევა და წარმატება.

* * *

ერთი რუსული გაზეთის სიტყვით, შინაგანი საქმეების სამინისტროში ადგენენ ახალს პროექტს სასოფლო ფოჩტის თაობაზე. ისმისო, ამბობს ეს გაზეთი, რომ ყოველი სოფლის საზოგადოებაში იქნება ფოჩტაო, რომელიც კვირაში ერთხელ ან ორჯელ ივლის მახლობელ ქალაქშიო. საზოგადოებამ ამ საქმისთვის თავის ხარჯით უნდა შეინახოს ერთი ცხენი და ერთი ჩაფარიო. ამას გარდა ყოველ საზოგადოებაში იქნება ფოჩტის ყუთები, სადაც მცხოვრებლები ჩააგდებენ გასაგზავნ წიგნებსაო, და აგრეთვე ფოჩტის მარკები გაისყიდებაო. ეს საქმე სოფლის საზოგადოების მამასახლისებს ექნებათ მინდობილიო.

* * *

ხოლერა რუსეთში ზოგიერთ გუბერნიებში თან და თან უფრო ერცელდება და ძლიერდება. გაზეთებიდამ სჩანს, რომ ამ ჟამად ყველაზე უფრო ძლიერათ ხოლერა კიევის, ეკატერინოსლავის, ხარკოვის, კურსკის, პოლტავის და სხვა სამხრეთ რუსეთის გუბერნიებში არის. ოდესაში ჯერ-ჯერობით 15 მაისიდამ ვიდრე აქამამდე სულ სამოც და ათ კაცზე მეტი არ მომკვდარაო.

* * *

სეტყვას მარტო ჩვენი მხარე კი არ დაუზიანებია წელს. რუსული გაზეთებიდამ ეტყობულობთ, რომ წელს რუსეთშიაც ძლიერ ბევრ ალაგას ყოფილა სეტყვა და ბევრი უანები გაუფუჭებია. «მმართველობის მოამბის» გამოანგარიშებით, ჯერ ჯერობით ამ ბუნების მოვლენას რამდენსამე გუბერნიაში 330,000 მანეთის მარტო პური გაუფუჭებია.

საქიმო ნაწილი

რქიანი საქონლის ჭია. ზოგიერთ რქიან საქონლის ხორცში მაგალითად ძროხისა და ხარის ხორცში ხან და ხან გაგრაველებულია ერთნაირი კვარკვალიტა-ჭია, რომელიც გამოხვეულია ხოლმე თავის, ბოლდეში. ეს ჭიები თუ მოხვდა კაცის წელში, იმათ გაიზდება ბაწარა ჭია ათი თუთხმეტ არშინი. დოქტორი კნოხი ამბობს რომ ეს კვარკვალიტა ჭია ბევრათ განირჩევა ჭიისაგან, რომელიც ღორის ხორცში მინახავს. ამას თავი სხვანაირი აქვს და ზედ ოთხი დიდი ფეხი აბია რომლითაც ის მიეკვრება და მოეკიდება მაგრათ ხორცსაო. თუ კაცს ჭამა ამისთანა ხარის, ან ძროხის უმი ხორცი, ეს ჭიები რაკი ნაწლევებში გადაველენ, ფეხებით მიეკვრებიან ნაწლევების კედელზე და ისე საშინლათ მაგრათ ჩაჯდებიან შიგ, რომ ბევრ ის წამლები, რომელსაც სხვა ნაირ ჭიები გამოჰყავს კაცის ტანიდგან, ამან მაგდენს ვერას აკლებსო ძნელადღა მოარჩენ. იმისგან კაცი. ამასთანავე ესენი სხვა ჭიებს უფრო აწუხებენ კაცს. საზოგადოებამ ... ხალხმა დიდი ყურადღება უნდა მიაქცი... ამ საქმეს განა მარტო იმისთვის კი ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ცუდი თვისების არის და კაცს ძალიან აწუხებს, უფრო იმისგამო, რომ ხარის და ძროხის ხორცში ძალიან ბევრი მოიპოვება და შეიძლება ძალიან ბევრს დაემართოს ჭიის ავთმყოფობა, რომლიდგან მორჩენა შემთეგ ძალიან ძნელია. იქ სადაც უფრო ნასწავლია ხალხი, იქ ისეთი მოწყობილობაც აქვთ, რომ ადვილათ შეიტყობენ ხორცში არის თუ არა ამისთანა ავათ-მყოფობა: მაგრამ ჩვენ რომ საშუალება არა გვაქვს რა ამის შეტყობისა, ჩვენ სხვა ნაირათ უნდა მოვიქცეთ. ეს ჭიები თუ ხორცში იპოვება ისე პატარები არიან, რომ თვალით შეუძლებელია იმათი დანახვა, რაც უნდა ხორცი ვიჩიქნოთ და დაწვრილებით განვიხილოთ, მაგრამ შენიშნულია, რომ თუ ხორცი ძალიან კარგათ მოხარშულია, ან ძალიან კარგათ შემწვარია, ერთი სიტყვით თუ ხორცი უხარშავი არ არის, ან უმი არ არის, მაშინ ეს ჭიებიც დახოცილი იქნებიან. ვინც უმი ხორცის ჭამას არის დაჩვეული, მხოლოდ იმისთვის არის საშიშო ამ ჭიის გადადება. ამისთვის ვისაც ჰსურს, თავი მოაშოროს ამ ცუდს სენს, იმათ ურჩევთ, უმი ხორცი არ სჭამონ.

წამხედურა ხორცი. ციმბირში არის ერთი საკვირველი ავათ მყოფობა, რომელსაც ეტყვიან **წამხედურა ხორცს.** ამ ავათ მყოფობის გამო კაცი დაიწყებს მანჭვას და ყოველსავე მოიქმედებს, რასაც სხვა იზამს და შემდეგ რომ ჰკითხო, ვერ გეტყვიან, თუ რას შვრებოდა ერთი მინუტის, ან საათის წინ რას შვრებოდა, სრულებით არ იცის. როდესაც ეს ავათ მყოფობა მოუვლის კაცს, ის მაშინ თავის გონებაზე აღარ არის და არც აღარაფერი ახსოვს, რაც იმ ავათ მყოფობაში დამართნია. დოქტური კაშინი, აი, როგორ ასწერს ამ ავათმყოფობას: ხედავ კაცს, რომ სრულებით კარგათ იცის, მაგრამ თუ უცბათ შესძახე. შეკრთება და იმასვე დაგიყვირებს, რაც შენ დაგიყვირნია. რაც უნდა უთხრა იმასვე გეტყვის, რამდენათაც ხმას მოუმატებ, ავათ მყოფიც იმდენათ აამაღლებს თავის ხმას. ერთხელ თვითონ დოქტორს კაშინს შეემთხვა ამისთანა ავათ მყოფის ნახვა: ზაბაიკალის ყაზახების ჯარის მესამე როტის განყოფილებას ასწავლიდა უფროსი სამხედრო მოქმედებას. როდესაც უფროსმა დაუწყო კამანდობა, ჯარმა გაიმეორა იმის სიტყვები და უფროსი ძალიან გაუჯავრდა, დაუწყო იმათ ყვირილი, ლანძღვა, მაგრამ მთელმა ჯარმაც გაიმეორა იმის სიტყვები და ამასთანავე ყველამ დაყარა იარაღები. დოქტორმა მაშინვე უთხრა უფროსს, რომ ესენი სწორეთ ავათ მყოფები არიანო.

ზოგიერთი ამნაირი ავათმყოფი წმინდათ გაიმეორებს ხოლმე რასაც მეორე შვრება, ან მოიქმედებს: მაგალითად თუ შეხტი, ისიც შეხტება, თუ დაარტყი, ისიც დაგარტყამს და სხვა. ერთი სიტყვით რაც უნდა ჰქმნა, უეჭველად ავათ მყოფიც იმას გაიმეორებს. ამასთან ქალის წინ რომ ან დაარახუნო, ან დაიყვირო, როცა ხელში ან ბოგშვი ჰყავს, ან ჭურჭელი აქვს, მაშინვე ბოგშვსაც გაგდებს ხელიდგან და ჭურჭლებსაც ძირს დაყრის. პირველ ნახვაზე ამისთანა ქალები ჰგონიათ, რომ სრულებით კარგათ არიანო, გონებიანათ ლაპარაკობენ ერთმანეთში და სჯიან თავიანთ საქმეს. მაგრამ რომ დაუყვიროთ, ან რომელსამე იმთგანს ცხვირსახოცი რომ ესროლო, მაშინვე წამოვარდებიან ეცემიან ერთმანეთს დაუწყებენ ცემას, ქოჩვას, ლანძღვას და თრევას, ცოტა ხანს შემდეგ ისევ მოვლენ თავის გონზე და მაშინ რომ ჰკითხოთ იმათ, ვერ გეტყვიან არც ახსოვთ იმის წინათ რაც ჩაიდინეს. ზოგიერთი უზნეო და ცუდლუტი კაცი დაუწყებს ამისთანა სულიერს ჯავრობას და იმდენზე მიიყვანს, რომ საწყალი ავათმყოფი დაიღალება, დაიქანცება და ბოლოს გულსაც შეოეყრება. შემდეგ მიეძინებათ და მეორე დღეს ან ორი საათის ღრმა ძილს შემდეგ გამოეღვიძებათ არ ახსოვთ რაც დამართნიათ და სრულებით კარგათ არიან, თუ ბეორეთ არავინ გაჯავრა, ან უზდელათ არ მოექცა.

განცხადება

პირუტყვების მზუნველი საზოგადოებისაგან, რომელიც თფილისში შესდგა:

კანონნი,

დამტკიცებულნი უ. მინისტრისაგან შინაგანის საქმეებისა.

§ 1. აღიკრძალება ხმარება სამუშაოდ პირუტყვებისა, რომელთაც ეტყობათ ავადმყოფობა, არიან მახინჯნი, დაჭრილები და დაკოჭლებულები.

§ 2. აკრძალულია ცემა პირუტყვისა მსხვილის და ანუ ხოკლიანის სახრით და კეტით; ცემა თავში და მუცელზედ სრულიად აღიკრძალება.

§ 3. აღიკრძალება დადება ძრიელ მძიმის საპალნისა, მაშინ როდესაც პირუტყვს ღონე არ შეეწევის და გზაც ცუდი არის.

§ 4. აღიკრძალება ყველას ქალაქში ცხენის ჭენებით სიარული, როგორათაც ცარიელი ეკიპაჟისა, აგრეთვე შიგ მსხდომარეებით, განსაკუთრებით მძიმე საპალნით დადებულის პოვოზკისა.

§ 5. აღიკრძალება ცხენის კისერზე მობმულის თოკით პაოზკაში შებმა, მას შემთხვევაში, როდესაც ხამუტით შებმული ცხენი გაჭირებით ეწევა საბალნესა.

§ 6. აღიკრძალება უთაებოლოდ ჩაყრა ანუ ზედ ზედ დაყრა პავოზკაში სბორებისა და სხვა წვრილი პირუტყვისა, ასე რომ თავები ძირს ჰქონდეს გამოკიდებული და პოვოსკაზე ახლიდნენ; ამასთანავე სასტიკათ აღეკრძალება მეპოკოსკეს ანუ მეურძეს, რომ ზედ არ აჯდეს ამ პირუტყვებსა.

§ 7. აღიკრძალება შოლტის ანუ სახრის ცემით აყენება ცხენისა ანუ ხარკამეჩისა, როცა ისინი პაოსკაში ან ურემში არიან შებმულნი: თუ რომ ხელით არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება აყენება, მაშინ საჭირო არის რომ წაქცეული საქონელი გამოუშონ ულლითგან და ისე წამოაყენონ.

§ 8. ერთის სიტყვით ტანჯვა და წვალება პირუტყვებისა ყველას სასტიკად აღეკრძალება.

ყოველნი პოლიციის ჩინოვნიკები და მოსამსახურენი ვალდებულ არიან გულსმოდგინებით ყურს უგდებდნენ, რომ ზემოხსენებულნი წესდებულებანი მტკიცედ დაიცვებოდნენ და აძლევდნენ სრულსა შეწყენასა ცხოველთ მფარველობის საზოგადოების ჩლენებსა, როდესაც ესენი წარუდგენენ მათ ბილეთსა, საზოგადოებისაგან დაწესებულსა, შესახებ ამა წესდებულობაებისა დამარღვეველთა.

ყოველთა დამარღვეველთა და წინააღმდეგთა ზემოხსენებულთ წესდებულებათა დაიჭერდით და წარადგენდით პოლიციაში, გარდასახდელათ შტრაფისა, რომელსაც დაადებს მათ 29 სტ. ძალით მომარიგებელი მსაჯული—მიროვის სუდშია.

განცხადება

ინგლისიდან მიეიღეთ **კარბოლოგის საქონელი**, პარაშოკი, სხვა და სხვა წყლები და კრისტალი, რომელიც იხმარება ცხენისთვის, ძროხისთვის, ცხვრისთვის, ძაღლისთვის და საზოგადოთ ყველა პირუტყვისთვის, არჩენს ქეცსა და ნაირ ნაირ ავათმყოფობასა, ხოცამს საშინლათ ბაღლინჯოს, ჭიანჭველას. აგრეთვე სახადისთვის, ხოლერისთვის, კედრის სუნისთვის, ჰაერის გასაწმენდათ, ავათმყოფობისთვის, ხეებისთვის, კბილისთვის, თმის დასამაგრებლათ და სხვ...

ხაზონები კარბოლოგისა:

მედიცინის საპონი; იხმარება პირის მუწუკებისთვის, არჩენს ქერქეცსა, ქავილსა, ზაფხულში კოღოს ხოცამს და ტანსაც გრილათ ინახამს.

ტკალეტისა საპონი აწმინდაებს და არბილებს პირის კანსა. ეხმარება ციებიან და ხოლერიან ავათმყოფსა.

გლეცირინის საპონი, ქალებისთვის, პირს არბილებს და პირზედ თმას არ უშვებს.

შინაური საპონი სარეცხისთვის და პოლებისთვის.

საპონი ცხენისთვის, ძროხისთვის, პირუტყვისთვის. აშორებს ბუზსა, ავათმყოფობასა და აძლევს უკეთეს თმასა, იხსნის ცუდის სუნისაგან.

ძაღლის საპონი, შინაურ ძაღლისთვის იხმარება.

ვანის საპონი, იხმარება ტანისთვის, როცა ტანზე მოარჩენილი იარა აქვს.

კბილის პარაშოკი, სწმენდს კბილის ჭუჭყსა, აწმინდაებს და ამაგრებს კბილებს.

ყმაწვილის საპონი. მაზი იარისა პირუტყვისთვის ჩლიქების მოსარჩენად.

იყიდება: სოლოლაკზე, ერეკლეს სახლების პირდაპირ, **ხ. ხატისოვის სახლებში.**

გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში ბროშურა:

ТИФЛИССКІЙ ДВОРЯНСКІЙ

БАНКЪ

И

ЕГО ЗАСТОЙ И ЗАТРУДНЕНІЯ

По поводу каписки коммисіи

М. Г. М.

ფასი ათი შაური.

ხომშიევის სახლიდამ, (ფოჩტის სტანციის პირ-და-პირ რომ არის) **დაიკარგა თუთიეუში.** ვინც იმას მიუყვანს პატრონს ჯეროვან საჩუქარს მიიღებს.

ამ დღეებში გამოვიდა «კრებულის. მერვე და მეცხრე წიგნი ერთად. შემდეგში ეეცდებით ორიოდ სიტყვა მაინც ვთქვათ ამ წიგნზე, ეხლა კი აქ მხოლოთ იმის შინაარსი მოგვყავს:

რამდენიმე ხანა პოემისა «აჩრდილი» ილ. ჭავჭავაძისა.—ჩვენი ცხოვრების ყველი ბ. — თელისა.—«აღმოჰხდა მნათი» (დოქსი) ნ. ბარათაშვილისა.—პიერ ჰუგენენი (ჟორჟ-ზანდის რომანი) თარგმნილი № № სა.—იოსებ მაძღინი მ. ბეტრიძისა. — სახალხო ლექსი (ერეკლეს გლოვა).—პოემიდამ «უბედურნი» გ. ჭალადიდელისა.—საქართველოს ისტორიული სურათები (მეხუთე ხუკუნე) გ. გორისელისა.—კითხვა (დოქსი) ფაზელისა.— შეერთებული შრომა ჩვენის ლიტერატურისათვის—მ. ბეტრიძისა.—სატრფოსადმი (დოქსი) ფაზელისა. საამხანაგო ბანკები, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება გ. წერეთელისა.—ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. ✕✕-სა.—

დამატებაში: მიმომავალი ურია (რომანი ეუჯენ სუჩი) ფრანცუზულით გადმოღებული ხ. ალექსეევა-მეხსიევისაგან.—

განცხადება

გამოვიდა სტამბიდამ და იყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში და გ. წერეთლის სტამბაში ახალი ქართული წიგნი:

თარგმანნი

საამო საკითხავთა თხზულებათა

გამოცემული

ქართველი ქალებისაგან

წიგნი პირველი

სარჩევი: მკითხველს (წინასიტყვაობის მაგივრათ).—პარიჟელი ბიჭი.—ამერიკელი ქალები მეთერამეტე საუკუნისა.— ჟულ ტარარო.—უკანასკნელნი დღენი ნათანიელ როსელისა.

ფასი ეგვლგან ორი აბაზი

ეს წიგნები იყიდება:

ქუთაისში: გუბერნიის სტამბაში.

გორში—კნ. ნინა ერისთავისას

ახალციხეს—ანნა მუსხელოვისას

სიღნაღს—რაჟდენ ციციშვილთან

თელავს—ლევან ჯანდიერიშვილთან

ოზურგეთს—მელიტონ ღოღობერიძესთან.

Дозволено цензурою Тифлисъ 30 Іюня 1872 г. ბ. წერეთლის და ამხ. (დუბელირის.) სტამბა. რედ.და გამომცემელი გ. წერეთელი.